როლტარეგი ჯელა ჩვენისა. შეერთდით!

№ 158 (6719)

14 აგვისტო, ხუთშაბათი. 1980 წ.

შაბი 8 ააკ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფშაკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ზაფხული — 80

ლიხის ტბა თბილისელთა ერთერთი საყვარელი დასვენებელი ადგილია. აქ განსაკუთრებით მაბათ-კვირასაა ხალხმრავლობა. აი ეგ ტბის შემოგარენში იხვენებს, ზოგი აქვე ბორთის თამაშით ართობს ხალხს, ზოგიც თევზაობასა თუ ნავით გასეირნებას ამჯობინებს, უმეტესობას კი მთის ცურვა ურჩევნია.

ბევრი დამსვენებელი აქ მთელი ოჯახით ამოდის და თავიანთ შვილებს ცურვის ანბანსაც ასწავლის. როგორ ვისწავლოთ ცურვა? აი, სწორედ ამაზე მოვისმინობთ დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: დამსვენებლები ლიხის ტბაზე.

ს. ვართანესოვის ფოტოები.

● ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ

ᲛᲐᲘᲡᲐ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲒᲐᲛᲘᲐᲜᲝᲕᲡ

ᲒᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ, სსრ კავშირის ვეტერანი 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრებისას, მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა გამოცდილი დიდოსტატი მ. ტამანიანი (ლენინგრადი) და ყველაზე შეუთანხმდა საერთაშორისო ოსტატ ვ. ჩეხოვს (მოსკოვი).

3 ტურის შემდეგ დიდოსტატ ქალსა და ოსტატ ვ. ჟურავლიოვს (რიგა) 2,5=2,5 ქულა აქვს. რიგელმა მოჯადოებულ სქლია ოსტატებს ვეინგოლცსა და დიდიშკოს, 2 ქულა აქვს ა. პეტროსიანს (ერევანი), რომელმაც დიდოსტატ დ. ბრონშტეინს (მოსკოვი) მოუგო. დიდოსტატი ა. გიმსლანი (რიგა) დამარცხდა ახალგაზრდა ესტონელ ოსტატ ი. ელესსონთან.

ᲓᲜᲘᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ ნახევარფინალში ლიდერობს ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — 2,5. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ვიტებსკელი ზ. სტურუა და ფრუნზელი ოსტატები ლ. იურტაევი და ბ. კაბელური.

სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ხარკოველ მოჯადოქებთან — დიდოსტატ ა. სალოსთან და საერთაშორისო ოსტატ ი. ჩერნინთან.

ა.ალთარველის ჩემპიონს ზ. აზმაიფარაშვილს 1 ქულა აქვს, იგი დაუზავდა დიდოსტატ რ. ხოლმოვს (მასაც მხოლოდ 1 ქულა აქვს) და პოპოვს.

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ნახევარფინალში დაწინაურდა ვ. ცეპკოვსკი (ომსკი) — 2,5. ვ. ბაგიროვი (ბაკო), ს. პალტნიკაა (ოდესა) და ი. პლატონოვს (ვოლგა) 2=2 ქულა აქვთ. ხუთმა მონაწილემ 1,5=1,5 ქულა მოაგროვა, მათ შორისაა ე. უბილავიც (თბილისი). ელისტრატოვმა მარცხი განიცადა ბაგიროვთან, ქულა გაიყო ბ. შაშინთან (მოსკოვი) და ალალა ერმოლინსკის.

დიდოსტატ ე. გუფელდი **ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲐᲠᲡᲙᲘᲡ** ნახევარფინალის ლიდერთა ჯგუფშია. 2 ქულა აქვს. მას უსწრებს მხოლოდ ახალგაზრდა ლ. ფაახისი (რსფსრ) — 2,5.

ᲙᲐᲡᲠᲘ-ᲠᲐᲛᲓᲐ

● ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲧᲕᲐᲚᲖᲔ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲕᲘᲗᲧᲐᲠᲘ

3. ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲮᲐᲜᲔᲒᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲛᲐᲕᲔᲜᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲪᲜᲘᲔᲑᲔᲚᲘ, თუნდაც ისეთი, რომელიც ფიქრობდა, წყალს საათობუ̈ით არ გაეკარებ და რაც დამაბორძიკებ, პირველი ორი წუთილის განმავლობაში შემდეგ უთუოდ დენთხინებიმდა, რომ ცურვის შესწავლა გადაუღებელ საქმედ უნდა გაიხადოს.

ამჯერად კი, დაპირებისამებრ, იმაზე გვექნება საუბარი, თუ მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებსა და ზღვაზე დამოუკიდებლად როგორ ვისწავლოთ ცურვა.

ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ...

ᲐᲠᲐᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲕᲘᲪᲜᲐ ცურვის სწავლას შეეჯდებოდეთ, რამდენიმე სიტყვა შეშზე: ნათქვამია, შიში დიდი თვალები აქვსო, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გარკვეულწილად უსაფუძვლოა. არავინ იცის კანონი გვასწავლის, რომ სითხუნი ჩაგდებული სხეული წონაში იმდენს კლებულობს, რამდენსაც მის მიერ შეგუწოვებული სითხე იწონისო. ამ კანონიდან გამომდინარე, წყალში ჩასული დღემანი კარგა გვიანობამდე ცივ უწონადობას, ამასთან, თუ ღრმად ჩაისუნთქავს, წყალში მისი წონა პრაქტიკულად ნულის ტოლი ხდება და თავისუფლად იტივტივებს.

ზემოთქმულში რომ დარწმუნდეთ, საჭიროა წყალში ჩაგიდეთ, ღრმად ჩაისუნთქოთ და პოლომდე ჩაჯდეთ. შემდეგ ბუხლები ხელით დაიჭიროთ და ნიკაპიც მუხლებსე დადეთ. წამიც საკმისია, რომ ამოგდებამ ძალამ ფსკერს მოგჭეჭვიტოთ, ოღნავ წინ გადაგაბრუნოთ და ზედაპირზე ამოგატივტივოთ (იხ. ნახ. № 1). მანამ იტივტივებთ,



№1

ვიდრე ჩასუნთქული ჰაერის შეკავებას შეძლებთ.

ამ ვარჯიშისას, როცა ამომგდები ძალა ფსკერიდან ამოგაწევთ და ოდნავ წინ გადაგაბრუნებთ, შესაძლოა შეგეშინდეთ და ფეხზე დადგომა სცადოთ (ეს ბევრს ეშარებოდა), მაგრამ, გახსოვდეთ, რომ წელამდე წყალში ხართ და საშიში არაფერია.

შიში შიშად და. ისიც ნათქვამია, რომ სიფრთხილე თავი არა სტაცეო, ამიტომ რაშდენიმე რჩევა გვინდა მოგცეთ:

ვარჯიშის დაწყებამდე აუცილებლად გაიარეთ სამედიცინო შემოწმება; პირველ მეცადინეობებზე მეთვალყურეთ აუცილებლად წყაუანეთ კარგი მოცურავე; ნუ ჩახვალთ წყალში, თუ მისი ტემპერატურა 17-18 გრადუსზე ნაკლებია, თუ წყალი გაუშვივრავლეა და ფსკერი მყვდრად ღრმადღება; ვარჯიში უმალ შეწყვიტეთ, თუ სიცივეს იგრძნობთ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ანბანის ათვისება წყალთან შეხვედითა და მისი თვისებების გაცნობით იწყება. ვარჯიში კარგად შესწავლილ ადგილზე უნდა ჩატარდეს. ამასთან, წყალში ყოველი გადადგილება ნაბრისყენ ან მის გასწვრივ უნდა ხდებოდეს.

პირველი ნაბიჯები სუნთქვის შესწავლით იწყება. სპეციალისტები ამბობენ, ცურვა ეს სუნთქვა და სუნთქვა — ცურვაო.

სუნთქვის შესასწავლად წელამდე წყალში უნდა შეხვედიდეთ, ღრმად ჩაისუნთქოთ, ბოლომდე ჩაჯდეთ და პირით ამოისუნთქოთ. ოღონდაც, თვალები გაგხლილი უნდა გქონდეთ. შემდეგ კვლავ უნდა გაიმეოროთ, ჩაისუნთქოთ და წყალში ამოისუნთქოთ. ყოველი ჩასუნთქვის წინ, როცა თავს ზედაპირზე ამოყოფთ, სახეზე წყლის წვეთები მრავლად დაცურდება. მის ჩამოწმენდას არ უნდა ეცადოთ. იმისთვის, რომ წყალს შეეჩვიოთ, იგი ხელებით სახეზეც უნდა შეისხათ დაახლოებით ათჯერად, თითქოს პირს იბანთო, ოღონდაც წყალი შხეფებად უნდა გესხმოდეთ.

მერიე ვარჯიში წელამდე წყალში სირბილია ჯერ ხელების დაუბმარებლად, მერე ხელების დაბმარებით. ამ დროს ხელები რეგულარობით წინიდან უკან უნდა მოასუდთ ხოვების მსგავსად. ამგვარი მოძრაობა თოკზე აეოცებასაც გვაგონებს.

უნდა გახსოვდეთ, რომ ასეთი მოძრაობისას, როგორც ცოცურავები ამბობენ, ხელებმა თუთოც უნდა იყრძნონ წყალი, რათა მაქმაქსებელი ძალა წარმოქმნან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელები მხოლოდ წყალს გაყვეთენ.

წყალთან უკეთ გაცნობას მიზნით საჭიროა მასში მკერდზედ შეხვედეთ, ფსკერზე რაიმე პრეკი საგნები ჩაყაროთ და შემდეგ ამოყრიდეთ.

შემდეგი ვარჯიში ასეთია: წყალში მუხლებამდე უნდა შეხვედეთ. ხელებით ფსკერს დაეყრდნოთ და შეტყუებული ფეხები წყლის ზედაპირთან ახლოს, პორიზონტალურად დაიპრით. მერე კი ამგვარ მდგომარეობაში ფსკერზე ხელებით სიარული დაიწყოთ (იხ. ნახ. № 2). ეს ვარჯიშები თავად წეულმაც უნდა გაგეთოთ და წყალში სიტყვაშვებულად. ეს ყველაფერი უთუოდ თვალნათლად უნდა გაგეთოთ, ვინაიდან ჯერ ერთი, ვიდრე კარგად დავეუფლებოდეთ ცურვას, ნაიადა საჭიროა ხელების სწორი მოძრაობისთვის თვალის დევნება. მეორეც, თვალებდახუჭული კაცი წყალში ოთხად ჰკარგავს წონასწორობას.



№2

თუ ზემოჩამოთვლილ ვარჯიშებს უკვე კარგად ასრულებთ, ესე იგი წყალზე სრიალის სწავლის დაწყებაც შეიძლება. ამისთვის საჭიროა წყალში წელამდე ან მკერდამდე შეხვედეთ, რაიმე საგანი ვთქვათ ბოძი, ქვა ან სხვა რამ მოძებნოთ, მასთან ახლოს ხელგაით დადგეთ, ღრმად შეისუნთქოთ, ფეხები იმ საგანს მიაბჯინოთ და ძლიერად უბიძგოთ (იხ. ნახ. № 3). სრიალის დროს წყალზე ჰორიზონტალურად უნდა დაწვდეთ. ამ დროს ხელ-ფეხი გამართულია, სახე კი მთლიანად წყალშია ჩაყოფილი (იხ. ნახ. № 4), წყალზე მანამ უნდა იწვედეთ, ვიდრე სრიალი ბოლომდე არ შეწყდება. უნდა ეცადოთ, რომ სრიალი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.



№3



№4

სრიალის დროს ცურვის ანბანის დაწყვებით წონასწორობას ჰკარგავენ. ისინი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ტრიალდებიან, მაგრამ გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად ამასაც ილაღ მოეცლება. ამას გარდა, ადამიანს ხშირად პირველი გასრიალებისას შიში ეუფლება, მაგრამ უნდა გახსოვდეთ არქიმედის კანონი და ის, რომ როცა ფილტვები ჰაერითაა სავსე, წყალში ადამიანის წონა პრაქტიკულად ნულის ტოლია.

თუ ზემოჩამოთვლილ ვარჯიშებს უკვე კარგად დაეუფლებით, ე. ი. შეიძლება უშუალოდ ცურვის სწავლებაზე გადასვლაც.

სპეციალისტები ამბობენ, რომ თუ კაცი წყალზე კარგად წვება, მას ისღა დარჩენია, ხელები მოუსვას და გაცუროსო. სპორტული ცურვის ოთხი სახეობა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია

„ᲙᲠᲝᲚᲘ“

„კროლი“ ცურვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. იგი ინგლისური სიტყვა და ცოცვას ნიშნავს, საქართველოში კი ამ ხერხით ცურვას ხალხი „მკლაურს“ უწოდებს.

„კროლი“ ცურვის ყველაზე სწრაფი სახეობაა. თავისუფალი სტილით ცურვაში უკლებლივ ყველა მსოფლიოს რეკორდი სწორედ ამ გზითაა დამყარებული. მოცურავეები მას თავიანთი შეჯიბრებების პროგრამის 9 სახეობაში იყენებენ. „კროლს“ ყველაზე მხნედ მიმართავენ წყალბურთელებიც. ამ სახეობით ცურვისას ხელებს როგორობით, ნაჩხებებივით უსვამენ.

აღსანიშნავია, რომ ცურვის ეს ხერხი უხსოვარი დროიდანაც ცნობილი. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, დაბლოებით ჩვენს წელთ-

აღრიცხვამდე 1500 წელს შექმნილ ძველეგვიპტური ქანდაკება, რომელზეც მოცურავე გოგონაა გამოსახული ლოტოსის ყვავილით ხელში. იგივე ადასტურებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2 ათას წელზე უფრო ადრე ადებული აკლდამის კედელზე გამოსახული მოცურავეს ფიგურა. რომელიც კაირის ძველეგვიპტური ხელოვნების მუზეუმში ინახება. ამ და სხვა ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული მოცურავეს ცურვის ტექნიკა თანამედროვე „კროლს“ გვაგონებს.

ზემოთ ვთქვით, რომ „კროლი“ ცურვის ყველაზე სწრაფი სახეობაო და, ამან, შეიძლება, ცურვის სწავლის მსურველი დააგრთხოს — თუ სწრაფიც, ესე იგი, ყველაზე რთულიცაო. ეპირიქით! „კროლი“ ყველაზე იოლი სახეობაა და ამიტომაც ცურვის სწავლას სწორედ ამ ხერხით იწყებენ.

ა. ᲒᲣᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ფიზკულტურასა და სპორტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის საკავშირო სპორტკომიტეტმა **„ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფრიადოსნის“** სამკერდე ნიშნით დაჯილდოვება გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორის, მოადგილე, ამ კომბინატის სპორტკლუბ „დინამო“ გამგეობის თავმჯდომარე **ნ. ᲓᲐᲒᲚᲔ.**

ᲜᲬᲔᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲜᲔᲑᲐ

საკლასიფიკაციო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა **„საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის“** წოდება მინიჭა:

ქნრთულ ᲬᲘᲓᲐᲪᲐᲕᲨᲘ — **გ. ᲓᲐᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** („კოლმეურნე“, ონი), **ზ. ᲮᲔᲕᲓᲔᲚᲘᲫᲔᲡ** („განთიადი“, ჭიათურა), **გ. ᲭᲐᲜᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** („კოლმეურნე“, გარდაბანი).

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲔᲑᲔᲡ

ქალაქის, რაიონის სოფელ თამარაშენში გიმნაზია-შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ცნობილი მოჭიდავის შოთა გაიკაძის სახელობის თასზე. ეს ღონისძიება მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა.

ნახარჩამოყრილ სარბიელზე სამპარეზოდ გამოვიდნენ თამარაშენის, ფცის, ცირონისის, რაუისის, ბრცთის, წყდვისა და სხვა სოფლების ახუეცესო მოჭიდავეები. ამსოლუტური ჩემპიონი და **ᲒᲣᲠᲐᲚᲘ** ბაიკაძის, სახელობის თასის მფლობელი გახდა ახალციხის კლასის სპორტის ოსტატი, სამართველოს ფალავანი **ᲒᲘ. ᲑᲘᲠᲗᲣᲚᲐᲕᲐ.**

გუნდურ პირველობაში გამარჯვება მამაცების ოჯახმა მოიპოვა, წინათა კატეგორიების მიხედით კი უძლურესი აყვნენ: ჭ. ცოტნაშვილი, ფ. თუდაშვილი, მ. ბითაძე, ე. ნებიერიძე, თ. ბერულავილი, ი. თოდაძე, ტ. რაზმაძილი და ზ. გოგინაშვილი.

გ. ᲛᲣᲧᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

წელს მძიმე მფარავრიგობაში აღმოჩნდნენ მახარაძელი სპორტსმენები — ხანძარმა მთლიანად გაანადგურა რაიონში ერთადერთი ღიბაზი, სადაც ჭიდაობის ოთხი სახეობის წარმომადგენლები, ადგილის ძალისუნები და მოკრივეები ვარჯიშობდნენ.

რაიონის ხელმძღვანელობამ კომკავშირის რაკომის სახსრებით და I ადგილი დაიკავა.

რეგულარობა ორგანიზატორებმა ქოქოლი მიიწვიეს საკვირაო ტურნირში, სადაც მას სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება შეეძლო.

ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲯᲐᲜᲨᲘᲫᲔ,
(„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ

ᲪᲘᲒᲐᲠᲘᲜᲐᲘᲫᲘᲡ ბრიგადის პიონერულ ბანაკ „მერცხალში“ მოწყვეთ „შაშაოყრების“ რესპუბლიკური გათამაშება, რომელშიც გაიმარჯვა სამტრედიის რაიონის სოფელ ჭვაუუდის რვაწლიანის სკოლის გუნდმა (ი. და დ. შანიძეები, თ. ჩარხუა, მ. ცხოვრებაია).

ნორჩი მოშაშეები მონაწილეობას მიიღებენ „შაშაოყრების“ საკავშირო გათამაშებაში.

Ო. ᲑᲘᲐᲛᲞᲝᲚᲘᲫᲔ.
(„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.).

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔᲢᲝᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲘᲜᲐᲕᲐᲓ

ცხინვალელი ინჟინერი ზ. ქოჩოეი თითქმის ბავშვობიდან მოზშეობა მიმოწერითი თამაშის, როგის საკვშირო ტურნირში და დიდ წარმატებას მიაღწია. 28 ოსტატობის კანდიდატად შეხვედრაში მან 20,5 ქულა დააგროვა

„ᲛᲝᲜᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ“

ასე დაარქვეს გეორთანეები „სამშობლოსკენ“ სპორტულ მანდზის, რომელიც ზუგდიდში, ლენინის ქუჩაზე გაიხსნა. ამით კალაქის მმრომელებმა, მთაშენელ-ხაულგზრიდამან, სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს.

სპორტულ მაღაზიას, რომელსაც 700 კვმ ფართობი უკავია, აქვს სპორტინვენტარის, მოტოციკლეტების, სპორტული ფეხსაცმელისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის, მზა საკრნალს, გალანტერიის სეკციები და კეთილმოწყობილი სათავსები.

ბ. ᲐᲚᲐᲜᲘᲐ.

ᲪᲣᲠᲕᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲐᲡ ᲤᲚᲐᲛᲔᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ



● **ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ᲑᲣᲓᲐᲖᲔᲘᲪᲔᲜᲔᲑᲘ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ოლიმპიელებიც მონაწილეობდნენ და ისინიც, ვინც მოსკოვის სტარტებს მიღმა დარჩნენ. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში ოქროს ენგმა (ვანა — 10,21) ოლიმპიადის ჩემპიონს უელს (დიდი ბრიტანეთი) 0,02 წამი მოუგო. 200 მეტრზე პირველი იყო ჭეირი (იამაიკა) — 20,52. 1500 მეტრზე რბენის ფინიშზე ყველას მიიმძრო უოკერმა (ახალი ზელანდია) — 3.36,8. ირლანდიელმა ოვეტმა ათჯერვე 5000 მეტრზე რბენაში — 13.32,0. ევნიერი ვიყვრა მას 0,1 წამით ჩამორჩა. ამერიკელების უპირატესობით აღინიშნა თარჯრბენი 110 მეტრზე (ნუპშია — 13,33) და 400 მეტრზე (მოზესი — 48,74). სამხტომში ოლიმპიური ჩემპიონი უუდმაე (სსრკ.) პირველი იყო შედეგით — 16,56,

ქალთა მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია ინანუტის (პოლონეთი) გამარჯვება 800 მეტრზე რბენაში — 1.51,95. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ს. სიმონიმ (ტალია) 194 სმ სიმაღლე გადალახა, მაგრამ მაინც პირველი იყო.

ᲘᲔᲜᲐᲨᲘ (გერ) დომპროფსკი 818 სმ სიგრძეზე გადახტა, შედეგმა ბაღრო 68,16 მეტრზე ტყორცნა, გორომა 100 მეტრი 11,21 წამში დაფარა, პიუფე (ყველა — გერ) უძლეურესი იყო ბრითვის კერასა (20,63 მ) და ბაღოს ტყორცნაში (65,46 მ).

ᲚᲘᲜᲬᲝᲜᲘᲜᲒᲘ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ვაჟთა სპრინტში ბადალი არ ჰყავდა უელსს (დიდი ბრიტანეთი) — 10,24, მანვე მოიგო 200 მეტრზე რბენა — 20,39. ამ უოკერმა, რომელიც ბუდაპეშტიდან ლონდონს ეწვია, მილზე ოსპარიზე და ბამარჯვებაც არავის დაუთმო — 3.54,4. 5000 მეტრზე ოვეტს (დიდი ბრიტანეთი) ფინეშთან ჩკერდით მიასწრო ირლანდიელმა ტოსიმ. ორივეს შედეგია 13.27,09. ნუპიმამ (აშშ) ამჯერად 110 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებას 13,23 წამი მოანდობა.

ᲕᲔᲚᲘᲜ პირველი იყო კიოლნში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირშიც. მან ამ 100 მეტრზე რბენაში 10,19 წამი ახვედა. ამერიკელი ქალის სმითის შუამა 64,78 მეტრზე „იფინანა“.

ᲓᲐᲚᲐᲒᲔᲚᲘᲜᲘ გერ-ის რეკორდი დაამყარა რაინპფიანმა, რომელმაც ბორბეში 21,51 მეტრზე ჩაჯა და თითქმის მეტრით აჯობა ამერიკელ ოლდფილდს. რომმა (ვფრ) ეური 79,26 მეტრზე ტყორცნა, ვიეეების სიმაღლეზე ხტომაში ოთხმა სპორტსმენმა — ფილდმა, პიეჭმა (ორივე — აშშ), მოიგეს ბრძოლა და ტრენპარღები (ორივე — გფრ) ერთნაირი სიმაღლე — 227 სმ დაძლია. ადგილები ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

● **ᲛᲝᲢᲝᲡᲐᲠᲢᲘ**

ᲣᲮᲘᲜ ᲛᲝᲡᲐᲞᲐᲚᲘ

მომაკვს ესტონელმა სპორტსმენებმა ვილიანდში, სადაც საბჭოკავიეო წრიულ მოტორბოლაში საკავშირო ჩემპიონობაზე შეჯიბრეობდნენ. მასპინძლობა ტალინ გაიმართა. მასპინძლობა ჯაშნი 2 ოქროს, 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მიიღეს და, რა თქმა უნდა, საერთო გუნდურ ჩათვლაზე პირველობა მოიპოვეს.

ორივე „ოქროს“ ბანილისტათა ვილ კარგად ცნობილი ლ. ტეეისტეს ეკიპაჟებმა ეს 125 და 250 კმ/მ-ის მოცულობამძრავიანი მაწყანებით აპპარეზობდა და ორივეჯერ წარმატებას მიაღწია.

გადავრჩით...

„ფახთაქორთან“ მარცხს

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ ტატიონი. 13 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1 (0:1).

„დინამო“: მამინაშვილი, კოსტავა, ჩიგვაძე, ბინიაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, ჭილაია, ჯოხაძე (მინაშვილი), გუდუკაძე (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

„ფახთაქორი“: ხარაშენკო, კადდაყინა, ენხო, ნიკიფორენკო, დენისოვი, პაჯი (შაიმრდანოვი), ივანოვი, ანტონოვი, ნარტაჯიევი, ტუხლევსკი, ამრიევი.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული ორთან ნიკიფორენკო, ხარაშენკო.

ტაშკენტის „ფახთაქორთან“ კალენდარული მატჩი სულ ახლოს ჰქონდათ თბილისელ ფეხბურთელებს მეტოქის მინდორზე. ეს იყო პირველი წრის ბოლო ტურში, სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩის წინ.

დინამოელებმა ტაშკენტში დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს (3:0), რაც მათ კარგი სპორტული ფორმის მომპოვებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას მოაკვდა მარცხიანი ფინალი დონეცკის „შახტიორთან“.

და აი, ჯერ წრის სტარტი, კვლავ ტაშკენტის „ფახთაქორი“.

და კვლავ, უკვე მერამდენედ წლევანდელ სეზონში დინამოელებმა მაყურებელს უჩვენეს ყოველად უსასტუმრო, არაორგანიზებული, პასიური ფეხბურთი. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირველ ტაიმში, რომელიც ჩვენმა გუნდმა ძალზე სუსტად, დაბალ დონეზე ჩაატარა. ვერ აღვნიშნავთ ვერც ერთ მოთამაშეს, რომელიც თავის თავზე აიღებდა ინიციატივას. სალერიმო კომბინაციები წყდებოდა შუა მინდორში, თავდასხმელები იშვიათად და ისიც ერთობ არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

სამაგიეროდ, „ფახთაქორმა“ შეძლო თავისი ერთ-ერთი კონკრეტიული წარმატებით დამთავრება — გოლი 22-ე წუთზე გაიტანა პაჯმა — 1:0.

შედარებით უკეთ ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. ამოქმედდნენ ნახევარმცველები, შეტევაში ჩაებნენ მცველებიც, ბურთის გატანას რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს თავდასხმელებმა და ბოლოს, უკვე მატჩის დასასრულს (77-ე წუთი) ჩიგაძემ შეძლო ბურთის გატანა — 1:1.

მაგრამ ეს იყო გოლი, რომელმაც მხოლოდ დამარცხებას გადაარჩინა დინამოელები. მატჩი გაყვითები მათ ვერ შეძლეს.

მეორე წრის სტარტზე ასეთი უეიდაში თამაში იატმისტურად როდი განაწყობს დინამოელთა გულშემატკივრებს, მით უმეტეს, რომ გუნდს მეტად მძიმე და სასასუხისმგებლო გასვლითი შეხვედრები ელის კიევის „დინამოსთან“, დონეცკის „შახტიორთან“, მოსკოვის „სპარტაკთან“, ცსკა-სთან, მოსკოვის „დინამოსთან“, ლენინგრადის „ზენიტთან“...

იმ დროს თამაშით, როგორიც თბილისელებმა ბოლო ორ მატჩში გვიჩვენეს, რასაკვირველია, გუნდი ვერაფერ სახარბიელოს ვერ შეიძენს თავის აქტივს. მდგომარეობა ერთობ დამაფიქრებელია და კოლექტივმა აუცილებლად უნდა გამოსწოროს ძალები აშკარა კრიზისის დასაძლევად.

რ. ჟორჟიძე.



უკანასკნელი წუთი

12 და 13 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის I ტურის მატჩები. მოგვყავს მათი შედეგები:

„ბარაკატი“ — „ტორპედო“ 0:4

„არარატი“ — „ნეფთჩი“ 1:1

„პირათი“ — „უშაანი“ 2:1

„დინამო“ კ. — „დინამო“ ბ. 4:0

„შახტიორი“ — „დინამო“ გ. 3:2

„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“ 3:0

„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ 2:1

ცსკა — ახალ რ. 1:0

12 აგვისტო, 26-ე ტური.

საქართველოს წარმომადგენლებს გასვლითი მატჩები ჰქონდათ. ქუთაისის „ტორპედომ“ ოდესის ფრედ თითმაშვა ადგილობრივ არმიელებთან — 1:1, ხოლო ლენინაყანის „გურია“ ივანოფრანკოვსკში დამარცხდა იქაური „სპარტაკთან“ — 1:3

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ბამარი“ (დნეპრპეტრ) 4:0, „მეტალურგი“ (ჩაპოროჟიე) — „ბოსტონი“ (ჯიზაკი) 2:0, „ალგორისი“ (ფილენოსი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:1, „ოსკარა“ (სმოლენსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „შინაკი“ (იაროსლავლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 4:0, „ენერგია“ (ულიანოვსკი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:3, ასკ (ხაბაროვსკი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „კრ. სოვეტიანი“ (კუიბიშევი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1, „ურალ-მაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:3.

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ჯ-ს აგვისტოსთვის

	თ.	ქ.	ფ.	ბ.	ქ.
„ტავრია“	25	15	6	4	47—19	36
„დნეპრი“	28	15	3	8	30—27	33
„მეტ=ტა“	26	14	4	8	37—25	32
„ფაკელი“	26	11	8	7	27—20	30
„ამარი“	26	11	7	8	33—31	29
„ოსკარა“	26	12	4	10	28—25	28
„ბუკ.“	26	11	6	9	29—26	28
ასკ ხ.	26	11	6	9	25—33	28
„ალოლისი“	26	10	7	9	38—28	27
„სპ“. ო.-ფ.	26	10	7	9	34—33	27
„ერგეზ.“	26	9	9	8	34—20	27
„შინაკი“	26	9	9	8	26—25	27
„დინამო“	26	12	2	12	35—38	26
„ზარია“	26	11	3	12	37—38	25
„ცუზბ.“	26	11	3	12	37—39	25
„ნისტ.“	26	10	5	11	29—28	25
„ტორპ.“	26	9	6	11	28—29	24
„სპ.“ ორ.	26	9	6	11	24—31	24
ასკ ოდ.	25	9	5	11	29—25	23
„გურია“	26	8	6	12	36—46	22
„მეტ-გი“	26	7	8	11	31—43	22
„კრ. სოვ.“	26	5	10	11	16—30	20
„სპარ.“ ნ.	26	6	7	13	22—32	19
„ურალ.“	26	5	5	16	16—37	15

გაიმარჯვეს მასპინძლებმა

თბილისი საუკეთესო სტადიონებზე ამ დღეებში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა ცენტრალური საბჭოს პირველობა 1965-66 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის. მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის გუნდები.

გათამაშების სტარტზე თბილისელებმა მოუგეს კიეველებს — 3:1 და ფრედ თითმაშეს მოსკოვის გუნდთან — 2:2. ამპლობაში მინსკის წარმომადგენლებმა დაამარცხეს ორივე მეტოქე — კიევიც (3:0) და მოსკოვიც (1:0).

გადამწყვეტი მატჩისთვის მინსკელებს ჰქონდათ 4 ქულა, ხოლო მასპინძლებს — 3 და შეხვედრას მათ შორის უნდა გადაეწყვიტა პირველი ადგილის ბედი. დაბაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჭარბელმა ფეხბურთელებმა — 1:0, რომლებიც სპატაო თასის მფლობელები გახდნენ. გუნდის მწვრთნელები არიან ნ. აბრესიანი და ბ. სიჟინაია.

ორნი ნაკრებში

ამას წინათ უნგრეთში გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა (1964-65 წლებში დაბადებულნი) ტრადიციული საერთაშორისო შეხვედრა „ბალატონის თასზე“.

ტურნირში მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრებიც. ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა გერის „ბაიერანი“, 3:1 — იუგოსლავიის ნაკრები და ფრედ ითამაშა ბულგარელებთან — 1:1.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და სსრ კავშირის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს უნგრელებმა — 4:3. ღირსანიშნავია, რომ საბჭოთა ნაკრებში თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები—ვ. კარანაძე („ნორჩი დინამოელი“) და ი. ჩუხუა (ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა).

„ჭყაპის ბურთი“ — 80

მოპაკლოვკა ნორჩ ფეხბურთელთა „ტყავის ბურთის“ საყვარელი ფინალური ტურნირები. სულ გამოვლენილია 72 ფინალისტი, 24-24 — თითოეული ასაკში. უმცროსი ასაკის მაკრელები ითამაშებენ ბრიანსკში. ფინალისტთა შორის არის რუსთაველ „იეტრიო“.

საშუალო ასაკის ჭაუეის გუნდები გამოვლენ ხარკოვში. ჩვენი რესპუბლიკიდან კი თითმაშებს თბილისის „დილა“.

უფროსი ასაკის ბიჭები შეკრიბებიან გროზნოში, სადაც სხვებთან ერთად გამოვა გურჯაანის „ლაზანი“.

ასპარეზობა დაიწყება 17 აგვისტოს.



ფიფა-ს პრეზიდენტის ინტერვიუ

ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა მიქსიციის გაზეთ „ეიტოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის (გერ) მასპინძლების შემთხვევაში .იყო დაახლოებით 40 მილიონი დოლარი, 1978 წლის (არგენტინა) — 50 მილიონი დოლარი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები კი დაახლოებით 100 მილიონი დოლარის შემოსავალს ელიან.

„ამავე დროს, განაცხადა აველანჟმა, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს დაახლოებით 226 მილიონი დოლარი დაეხარჯებათ. აქედან 100 მილიონი სტადიონების რეკონსტრუქციას მოუნდება, მაგრამ ყველაზე მეტი ხარჯი მაინც მაღალი პრესცენტრის მშენებლობას დასჭირდება, რომელიც 7500 ჟურნალისტს უნდა მოემსახუროს.

ფეხბურთის სამმართველოში

სპორტკომიტეტის სპორტკომიტეტის ფეხბურთის, სამმართველოდან გვაცნობეს, რომ რესპუბლიკის I ლიგის წარმომადგენლის — ლანჩხუთის „გურიის“ გაძლიერების მიზნით კოლექტივში ჩაირიცხნენ თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშეები ვ. ყოპაძიეშვილი და გ. მაჩაიძე.

ფეხბურთის რესპუბლიკური სამმართველოდან აგრეთვე გვაცნობეს, რომ თბილისის „დინამო“ წელიწადს ევროპულ ტურნირზე თამაშობს არა უეჭველ თასზე, არამედ თასების მფლობელთა თასზე და მისი მეტოქე იქნება არა გერმანელ ქალქ მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“, არამედ საბერძნეთის „ასტერია“.

დიზაინის „შახტიორის“, რომელმაც გაიმარჯვა თასი, წელიწადს ევროპის ჩემპიონატის თასი, წელიწადს უნდა ეთამაშა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, მაგრამ ვინაიდან ამ შეჯიბრებაში განაცხადების შეტანის ვადამ განვლო, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გადაწყვიტა, რომ დონეცკელი ფეხბურთელები მოსკოვის „დინამოსთან“. და კიევის „დინამოსთან“ ერთად იასპარეზებენ უეფა-ს თასზე, სადაც მათ მეტოქეები შესაბამისად იქნებიან გერა-ს „აინტრახტი“, ბელგიის „ლოკერენი“ და ბულგარეთის „ლევსკი-სპარტაკი“. ამას გარდა, „შახტიორის“ ადგილი შეეწინააღმდეგა თასების მფლობელთა თასის შემდგომი წლის გათამაშებისთვის.

ამრიგად, თბილისის „დინამო“, როგორც სსრ კავშირის თასის ზარშანელი მფლობელი, წელიწადს კვლავ მიიღებს მონაწილეობას თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში და მეთექვსმეტედფინალს სასტარტო მატჩში შეხვედება საბერძნეთის „ასტერის“.

ამ გათამაშების პირველი მატჩი 17 სექტემბერს გაიმართება საბერძნეთში, ხოლო განმორეებითი — 1 ოქტომბერს თბილისში.



რუსაშვილის დისციპლინის სახელგანთქმულ სპორტულ კლუბში ნებისმიერ არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი, რომლებსაც სხვადასხვა შეჯიბრებებში გამოუვლენიათ თავი, ხაკვშირო და მსოფლიო რეკორდები დაუმყარებიათ პარაშუტით ხტომაში.

ამ სურათებზე აღბეჭდილია საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების მორიგი ვარჯიშის მომენტები. სპორტსმენთა ერთი ჯგუფი შედის თვითმფრინავში (ზედა მარცხენა ფოტო), რომელიც მალე 3000 მეტრ სიმაღლეზე ავა და მორიგი ხტომებიც დაიწყება; თვითმფრინავი „ან-2“-ს სულ მაღლა და მაღლა მიიწევს (მეორე ფოტო); მან ზღვრულ სიმაღლეს მიაღწია და სპორტსმენებიც ერთი მეორის მიყოლებით ხტებიან (მესამე ფოტო). ქვედა მარცხენა ფოტოზე თქვენ ხედავთ ექვსი მსოფლიო რეკორდის ავტორს ვ. ბონდარენკოს (ცენტრში), როცა იგი ამხანაგებთან ერთად ამოწმებს პარაშუტის გამართულობას; სპორტსმენების მიერ ცაში შესრულებული აკრობატული ფიგურების შესრულებას თვალყურს ადევნებენ ახალი ძლიერი ლორჩინდები; ბოლო ფოტოზე აღბეჭდილია სპორტის. ოსტატი ნ. გურგენიძე მორიგი ნახტომის შემდეგ.

ს. ვარშანიძისა ფოტოები.

ოლიმპიადის ეჭო

მსოფლიო იწონებს, აქებს...

მოსკოვის ოლიმპიადის დახურვის შემდეგ 10 დღე გავიდა. მაგრამ მსოფლიოს პრესა, ოლიმპიადის თვითმხილველი კვლავ საინტერესო კომენტარებს უკეთებენ მას.

„მოსკოვში ჩვენ პირდაპირ ბედნიერი ვიყავით, ვინაიდან ამ შეშაობის ყველა საშიალება გვქონდა. ასე ამთავრებს რუპორტაჟს გაზეთ **„ხანოვნაში“** ვენეციელი სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი ე. ალვარესი. „ოლიმპიური თამაშები მოსკოვში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღონისძიება იყო, რასაც კი მე დავსწრებივარ. სპორტული ფორუმის ორგანიზატორებმა იგი ყველაზე მაღალ დონეზე ჩაატარეს“.

„თამაშები შესანიშნავად იყო ორგანიზებული და მსოფლიოს სპორტის ისტორიაში შეკა, როგორც მასი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი“ — აცხადებს **ბენონის რადიოსადგურ „რევოლუციის ხმის“** კომენტატორი ფ. აჯუე.

„მოსკოვის თამაშების მნიშვნელობა შეიდიმის. განმტკიცების საქმეში ძალზე დიდი“ წერს ინდოეთის გაზეთი „პატრიოტი“ და მას პოლიტიკის სპორტის ყველაზე დღესასწაულს უწოდებს.

ფინეთის ყველაზე გავრცელი **„ჰელსინგინ სანომატი“** აშკილებს რა XXII ოლიმპიური თამაშების შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნავს მის ბრწყინვალედ ორგანიზებაციას.

„კავშირგაბმულობა უნაკლოდ მუშაობდა. მასპინძლობა ყველაზე უმაღლეს დონეზე მოაწყვეს და აღნიშნა ამას შემდეგში ვეღარავინ შეძლებს“. მეორე გაზეთი **„ქანან უტარსტაი“** წერს, რომ „საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ოლიმპიადის დღეებში ფართოდ გაიღო კარი კულტურულ სამყაროს, ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა შორის მეგობრობის ზრდას“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ყველა, ვინც მოსკოვის ოლიმპიადას ესწრებოდა, ერთხმად აღიარებენ რომ თამაშების არაჩვეულებრივი სპორტული მხარე, არანაკლებ კულტურული პროგრამაც შესანიშნავი მოყვლინა ყოფილა.

მოსკოვიდან დაბრუნებული კანადელი ტურისტები დიდი ქებით იხსენიებენ XXII თამაშების ორგანიზაციას. გაზეთი **„ოტავა ჯორნელი“** აქვეყნებს კანადელ დედაქალაქის მკედრის, ჩ. არვინგის ინტერვიუს, რომელშიც ავტორი თანუგრძნობს იმ კანადელებს, ვინც მოსკოვში ამ შესანიშნავ ზეიმს არ დაესწრო „იმ აღმოსავლებს საკუთარ თავს თუკიდებს ერთერთი ყველაზე საინტერესო და ყველაზე შესანიშნავი სანახაობის — მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ხილვა. მე ძალიან შემიყვარდა ეს ქვეყანა, რომლის მცხოვრებლი მეტად მეგობრული და სტუმარმოყვარენი არიან“.

„მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი უდიდეს ქებას იმსახურებს“ — განაცხადა ლტალის ფირმა **„ოლივეტის“** ოფიციალურმა წარმომადგილემა. ოლიმპიადა-80-ზე ჩ. სალტირამ. მისი ფირმა იყო ოფიციალური მიმწოდებელი რომის, ტოკიოს, მეხიკოს, მონრეალის ოლიმპიადების. მან მოსკოვის ოლიმპიადას 3000 საბეჭდი მანქანა და სხვა საკანცელარიო მოწყობილობანი მიიწოდა. ამ მანქანების მეშვეობით მოსკოვში აყრედიტებულ ჟურნალისტებს 21 ენაზე შეეძლოთ წერა. „მაგრამ საქმე ჩვენს მანქანებში რიდია, ეკით არ მეპარება, რომ ოლიმპიადა ისედაც მაღალ დონეზე, საინტერესოდ ჩაიელდა“.

„როგორც ჩვენი პრესტიჟის ყველა პროგრესული ადამიანი, მეც ლტალიელი ვარ მოსკოვის ოლიმპიადის მაღალი ორგანიზაციით და ამაზე შესახებ ვუამბობ ყველას ჩემს სამშობლოში, ეუკმობ იმაზე, რომ XXII თამაშების დღეებში ნანახი და განცდილი, ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ადარ განმეორება. ოლიმპიადამ გაიცო და ერთმანეთთან დაახლოება ალტენტის მრავალი კუთხის წარმომადგენელ, კიდევ უფრო შეუწყო ხელი მშვიდობისეულს ბრძოლას“ (ვ. ხარალამპოსი, კვიპროსი).

„ოლიმპიურ თამაშებში 13 დღე დავყავით და ალბათ ამ დღეებს ევროპელთან ჩვენნაირ ვერ დავიდწუას, ეს იყო გულთმილი შეხვედრებისა და ხახაობების, მეგობრობის 13 დღე. ვნახეთ თუ რა დონეზე შეუძლიათ ჩატაროს გრანდიოზული ღონისძიება სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. სპორტი და ტურიზმი მშვიდობისა და მეგობრობის საიმედო საშუალებაა“ (ა. რანი, გერ).

„XXII ოლიმპიურ თამაშებზე მიღებული შთაბეჭდილებანი გრანდიოზულია. ოლიმპიადამ მეტად მაღალ დონეზე ჩაიარა. ამ ყველაფერი უჩვეულოდ მიმზიდველი იყო“ (ჯ. მაკ-ბეენი. ჩრდილოეთ ირლანდია).

„იმპერიალიზმის რეაქციული ძალების ცდა კარტერის ადმინისტრაციის წევთაწონით, ჩაეშალათ მოსკოვის ოლიმპიადა, სრული მარცხით დამთავრდა. მოსკოვის თამაშები გადაიქცა ოლიმპიური მოძრაობაში პროგრესული ძალების ტრიუმფად. მოსკოვის სპორტულ ბაზებზე კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა ოლიმპიზმის იდეამ“. — აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი, ამ ქვეყნის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ა. გომლი** ჩტჩ-ს საგაზეთო კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

●

მოსკოვის ოლიმპიურმა თამაშებმა გულთამაგნის ატმოსფეროში, მაღალ დონეზე რომ ჩაიარა ამას ეს ფოტოდოკუმენტებიც დამტკიცებენ: თითქმის ყველა კვეყანიდან ჩამოსულნი ცდილობდნენ შინ სამახსოვრო სახუკრებიც წეღებ (პირველი ფოტო); ახსპარტსმაოთა შემდეგაც კი, ვიდრე ოლიმპიური სოფელი დაიცლებოდა, შეკიბრებებიდან თავისუფალი სპორტსმენები, ტურისტები ყველგან გულთმილად ხასუხობდნენ, ერთმანეთს გულლად უზიარებდნენ ნანახსა და განცდილს (მეორე სურათი); ფოტოშოყვარულები და ფოტოკურნალისტები კი ხელიდან არ უშვებდნენ მომენტს ფირზე აღებეჭდათ ოლიმპიადის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მთავარი თუ მეორეხარისხოვანი მომენტები, რომლებიც ერთ-ორი წლის შემდეგ ახუკეთესო მოგონებად გადაიქცევა.

პრიზები ელის გამარჯვებულთ

„ლელოს“ კონკურსი „ოლიმპიური დათვინა“

მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, რასაც, როგორც იცით, ჩვენი გაზეთი ფართოდ აშუქებდა, რედაქციამ გადაწყვიტა სპორტისმეცოდნეთა ტრადიციული კონკურსის შედეგები მოგვიანებით, თამაშების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებინა.

და აი, დღეს გთავაზობთ „ლელოს“ კონკურსის „ოლიმპიური დათვნის“ საბოლოო შედეგებს.

დასკვნითი, III ტური კვლავ წარმატებით გაიკეთა კონკურსის ლიდერებმა მ. იმხამე, ს. ჩიკაშუა და ჯ. ფირცხალაშვილმა, რომლებმაც 9-9 ქულა დაიმახსოვრეს. ქულა დაჰკარგა მხოლოდ ჯგუფში მყოფმა გ. ახრახიძემ (8 ქულა).

სამი ტურის შემდეგ ქულთა ჯამებით რაოდენობა (28-28) ალმოაჩნდათ თ. ჩიკაშვილს, ჯ. ფირცხალაშვილსა და მ. იმხამეს.

კონკურსის ტიტულ გამოვალისწინა ის ფაქტი, რომ მათგან პირველის პატუნება შეძლებით სრულყოფილი უფრო ორმა იყო, ამიტომაც გადაწყვიტა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოუენების მათემატიკის კათედრის უმცროს მეცნიერ-შუშაკს თემურ ჩიკაშუას** მიენიჭა. მას ჩვენი რედაქციის მიერ დაწესებული პირველი პრიზი — **ფაიფურის ოლიმპიური ფიგურა** გადაეკეთა.

მეორე ადგილი მიკუთნეს **ლანჩხუთელ ჯუმბერ ფირცხალაშვილს**, რომელიც დაჯილდოვდება **სპორტული ალბომით**.

მესამე ადგილზეა მეგი იმხამე (ლანჩხუთის რაიონის ყოფილი გვიმრახეველი). მას სპორტული თასი გადაეცემა.

27-27 ქულა მოაგროვეს თბილელებმა **გია ახალაძემ, ევგენი ვასილიევმა, ზურაბ გურგენიძემ** და **ფეანტუბოელმა გიორგი აბრამიძემ.**

სპორტის კარგი ცოდნა გამოელინეს ავროელი ჩვენი გაზეთის მკითხველებმა **გურამ კაკაურიძემ** და **იუზა კაცკაძემ** (26-26 ქულა).

რედაქცია მადლობას უხდის კონკურსის ყველა მონაწილეს, უსურვებს მათ სპორტულ სხვადასხვა სახეობათა ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებას და წარმატებას შემდგომ კონკურსებში.

გთავაზობთ უკანასკნელი, III ტურის პასუხებს:

1. ყველაზე მეტჯერ ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდა ატლეტი ცხენოსანი რაიმონდო დ' ინცეო. მან რვაჯერ ისპარაზე ოლიმპიადებში (1948 წლიდან 1976 წლამდე). ყველაზე დიდ წარმატებას ატლეტიკაში 1960 წელს მიაღწია რომის თამაშებზე, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა დაბრკოლებათა გადალახვაში.

2. გამოჩენილი ზანგი სპორტსმენი ჯესი ოუენსი ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადაზე ოთხჯერ გამოვიდა მძლეოსნის სტარტზე და 4 ოქროს მედალი მოიპოვა: 100 მეტრზე რბენაში (10,3), 200 მეტრზე რბენაში (20,7), სტვრძელზე ხტომაში (8,06) და ამპლობიტში 4X100 მეტრზე (39,8). გარდა ამისა, ჯ. ოუენსმა ამავე ოლიმპიადაზე ისპარეზა აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში, რომლის შემადგენლობაში 2 მატჩი ჩაატარა.

3. ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი მოპოვებული აქვთ შვედ მსროლელებს — მამა-შვილ ოსკარ და ალფრედ სვანბერს, ისინი 1908, 1912, 1920 და 1924 წლების თამაშებში გამოდიოდნენ და 15 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს — 6 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს.

5. ქართველ სპორტსმენთაგან პირველი ოლიმპიური ოქროს მფლობელი მოჭიდავე დავით ციმაკურიძე მოიპოვა პელსინკში 1952 წელს გამართულ XV ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენმა ფალავანმა (თავისუფალი სტილი, სამეალო წონა) წაგებით დაიწყო შეკიბრება — პირველსავე წრეზე ქულების წაყარა შვედ ბ. ლინდბლანდთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სძლია დ. ხოჯს (აშშ), ჭ. პუსეინს (ეგვიპტე), დ. გურანს (უნგრეთი), ხოლო ფინალში გ. ტაბუტს (ირანი).

6. ოლიმპიური თამაშებიდან პირველი ტელევიზიონერი გამხდა 1936 წელს ბერლინში.

7. ოლიმპიური თამაშები ოფიციალურად არ დახურულა 1952 წელს ჰელსინკში. საქმე ისაა, რომ სოკი მაშინდელ პრეზიდენტს გ. ეფსტრიომს (შვეცია), რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ოლიმპიადების მნიშვნელობაზე, დაავიწყდა წარმოეთქვა ოლიმპიური ქარტიის ბოლო სიტყვები: „ოლიმპიური თამაშების დახურულად ვაცხადებ!“.

8. თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური ცეცხლი პირველად დაანთეს 1936 წელს ბერლინში.

9. ოლიმპიური ოქროს მფლეგმი ერთხელ გადაეცათ სპორტსმენებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიეღოთ თამაშებში: ეს იყო 1931 წელს, როდესაც გერმანელ მთამსვლელებს — ძმებს ფრანც და ტონი შმიდტს მატერხორნის მთის მასივზე ასულთათვის ოლიმპიური ოქროს მედლები მიენიჭათ.

10. სურათზე გამოსახული სპორტსმენები — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭაბუკები ნონა გაფრინდაშვილი და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი შოთა თამარიძე — გადაღებულნი არიან თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 1963 წლის 31 მარტს, XXV საკავშირო ჩემპიონატის გახსნისას, ჩვენი დინამოელებისა და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩის წინ (4:0 „დინამოს“ სასარგებლოდ). ეს დღეს ბერეთი თამაშში გაფრინდაშვილმა შეიყვანა...

ვ. ვ. მიქელაძე

საქართველოში მოვლეობის შესრულების დროს მოულოდნელად გარდაიცვალა ავტომობილისტმა ვ. საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვახტანგ ტარასის ძე მიქელაძე.

იგი 1934 წელს დაიბადა ქუთაისში. აქვე დამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო სოხუმის სატრანსპორტო ტექნიკის ინსტიტუტში, სიდანაც მშობლიურ ქალაქს ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით დაუბრუნდა და უკანასკნელ დრომდე ქუთაისის ტრანსმოტორების საწარმოში მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

ავტომობილსპორტში მეცადინეობდა ვ. მიქელაძემ 1952 წელს დაიწყო და მალე გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა, პერსპექტიულმა მრბოლელმა. რამდენიმე წელს იყო საქართველოს ნაკრებში და ჩვენი რესპუბლიკის ღირსეულს წარმატებით იცავდა საკავშირო შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში.

თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანი, კარგი სპეციალისტი და სპორტსმენი ზრუნავდა და დახმარებას არ აკლებდა თანაგუნდელებს, თანამშრომლებს. მისი ხანგრძლივი აღმოსპორტიკი ენთუზიაზმთა რიგებს შემოსწირა ძალა ვაჟკაცობა.

ვ. მიქელაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის ნაცნობებსა და მეგობრებს შორის.

ამხანაგების ჯგუფი.

კრიზის სამყაროში

პოლვსი და პრეზიდენტები

კრიზის შსოფლიო სააპოს (ცხს) ვერსიით, პაპაკაცი შსოფლიოს ჩემპიონად მქიმე წონის პროფესიონალი მოკიდებიც შორის იოანეზი ლარი პოლსი (აშშ).

ამას წინათ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პოლშსტ მეტოქეთა სია: 1. მერკადო (მექსიკა), 2. კონი, 3. დიქსი, 4. ტეილი, 5. ჩეიფერსი, 6. სპინქსი, 7. კონსი (ყველა — აშშ), 8. ლოპესი (არგენტინა).

„სპორტლოგო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 32-ე ტირაჟებისა, რომლებიც 9 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49“-დან

პირველი: ექვსი და ხუთი პლუს ერთი ნომერი ვერავინ ამოიცნო. ხუთი ნომრის ამოცნობისთვის (10 ბარათი) მოგება 3553 მანეთია, ოთხი პლუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის (38) — 71 მან., ოთხისთვის (862) — 46 მან., სამისთვის (14021) —3 მან.

მეორე: ექვსი და ხუთი პლუს ერთი ნომერი აქაც ვერავინ ამოიცნო. ხუთი ნომერი ამოიცნეს 21 ბარათზე. მოგება 594 მანეთია. ოთხი პლუს ერთისთვის (39) — 52 მან., ოთხისთვის (640) — 27 მან., სამისთვის (9786) — 3 მან.

„სპორტლოტო 5 36“-დან

პირველი: ხუთი ნომერი ამოიცნეს ხუთ ბარათზე. თითოეული მოიღებს 9888 მანეთს, ოთხი ნომრის ამოცნობისთვის (544) —164 მან., სამისთვის (17910) — 6 მან.

მეორე: ხუთი ნომერი ამოიცნეს ერთ ბარათზე. მისი მფლობელი მიიღებს 10000 მანეთს, ოთხი ნომრის ამოცნობისთვის (553) — 230 მან., სამისთვის (18051) — 6 მან.

მოგებული თანხა გაიცემა 20 აგვისტოდან 20 სექტემბრის ჩათვლით. (საცდა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. №14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პრაპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე ახალგაზრდობის — 93-97-53; ჰიდრაკი — 93-97-26; სამპატარო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქარაგაზე სამ ფერად. ბოშარაულის, 29. ინდექს 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10255